N 192 01/09/2020

ოქმი № 4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2020 წელი, 26 აგვისტო
ქ.ოზურგეთი
14.00-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ლ. საჯაია - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: მ.ზოიძე, ნ.ორაგველიძე, ჯ.თავართქილაძე, ალ.ღლონტი, ლ.სიჭინავა, ხ.ცერცვაძე, ლ.ბიგვავა, ქ.ვასაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო - საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის წარმართვის თაობაზე საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესახებ.

მომხსენებელი: ლელა საჯაია

თანამომხსენებელი: მაკა ჭყონია

კომისიის წევრებმა მოისმინეს სხდომის თავმჯდომარის მოკლე ინფორმაცია მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქვეყანაში არსებული სიტუაციის გამო სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის წარმართვში არსებულ პრობლემებსა და სირთულეებზე, ხოლო ვრცელი ინფორმაცია მთავრობისა და შესაბამისი სამინისტროს რეკომენდაციებსა და მათი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი დაწესებულებების მორგების პრობლემებსა და მოსაზრებებზე გააკეთა ა(ა).ი.პ სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულების ცენტრის დირექტორმა მაკა ჭყონიამ. ინფორმაციის მოსმენის შემდეგ გაიმართა მსჯელობა, კომისიის წევრები

შეთანხმდნენ, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად დალოდებოდნენ მთავრობიდან საბოლოო რეკომენდაციების მიღებას. ხოლო ცენტრის ამჟამინდელი ინფორმაცია მიეღოთ ცნობად.

გადაწყვიტეს:

ა.(ა.)ი.პ სააღმზრდელო საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორის მ.ჭყონიას ინფორმაცია მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის წარმართვის თაობაზე საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესახებ“-მიღებულ იქნას ცნობად.

ლელა საჯაია



კომისიის თავმჯდომარე
განათლების,კულტურის,სპორტის,ახალგაზრდულ საქმეთა,ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია